არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

** აღკვეთის ღონისძიებების სტურქტურა**





მიმდინარე წლის 5 თვის სტატისტიკის მიხედვით, სასამართლოებში გაიზარდა აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისად, შემცირდა დაპატიმრების გამოყენების რიცხვი. გაიზარდა ასევე, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაც. სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები ასეთია:

არასაპატიმრო სასჯელების რიცხვი გაიზარდა

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, აღმკვეთი ღონისძიებების საერთო რაოდენობაში გაიზარდა გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. თუ 2010 წლის 5 თვის მონაცემებით, აღმკვეთი ღონისძიების საშუალებად პატიმრობას იყენებდნენ საქმეთა 53,3 პროცენტზე, გირაოს კი 45,6 პროცენტზე, 2011 წლის მონაცემებით, შემცირდა დაპატიმრების რიცხვი და გაიზარდა გირაოს გამოყენების მაჩვენებელი - დაპატიმრება 47,8 პროცენტი, გირაო 52 პროცენტი.

ანუ, დღეს არსებული სიტუაციის ანალიზის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულ პირთა დიდი ნაწილი სასამართლო სხდომას გარეთ, თავისუფლებაზე მყოფი ელოდება.

რაც შეეხება, უკვე დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის გამოყენების მაჩვენებელს: 2011 წლის 5 თვეში მსჯავრდებული 7927 პირიდან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 3317 პირს, სულ მსჯავრდებულთა 41,8 პროცენტს. 2010 წლის იმავე პერიოდში სასჯელის სახით პატიმრობა მიესაჯა 48,1 პროცენტს.

პატიმრობის რიცხვის შემცირება აისახა ისეთი არასაპატიმრო ღონისძიებების ზრდაზე, როგორიცაა პირობითი მსჯავრი და ჯარიმა.

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, პირობითი მსჯავრი მიესაჯა 4173 პირს, ანუ მსჯავრდებულთა 52,6 პროცენტს, ხოლო ჯარიმა 402 პირს (5,1 პროცენტი).

გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა

2011 წლის 5 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 15 პირის მიმართ გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი. სტატისტიკის მიხედვით, ეს რიცხვი 3,5-ჯერ მეტია წინა წლის იმავე პერიოდში გამოტანილ გამამართლებელ განაჩენებთან შედარებით.

სასამართლომ საქმე შეწყვიტა 23 პირის მიმართ. რაც იმას ნიშნავს, რომ შეწყვეტილი საქმეების დროს ბრალდებულის მიმართ ფაქტობრივად, გამართლების ტოლფასი გადაწყვეტილება გამოდის.

ასევე, საინტერესოა, მთლიანობაში მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენების ხვედრითი წილი - 27 პროცენტს აღწევს.

საპროცესო შეთანხმებები

2010 წლის 5 თვესთან შედარებით, 2011 წლის 5 თვეში, სასამართლოებში საპროცესო შეთანხმებით შესული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 3,8 პროცენტით, ხოლო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეები - 1,2 პროცენტით.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა გასული წლის 5 თვის მონაცემებთან შედარებით - 76,2 პროცენტიდან გაიზარდა 86,2 პროცენტამდე.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში გაიზარდა, როგორც შესული (33,8 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (42,5 პროცენტით) რაოდენობაც.

შესაბამისად გაიზარდა (44,3 პროცენტით) გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობაც და 2011 წლის 5 თვეში შეადგინა 8832 საქმე.

განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა ადმინისტრაციული საქმეების ანალიზის დროს.

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემცირდა როგორც შესული (3,5 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (14 პროცენტით) რაოდენობა.

შემცირდა ასევე გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა და მიმდინარე წელს შეადგინა 2752 საქმე.

161 საქმით, ანუ 55 პროცენტით შემცირდა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა.

ადმინისტრაციული დავები

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 5 თვეში საკასაციო საჩივრით განიხილა 905 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 391 საქმე (43,3 პროცენტი), ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ 502 საქმე (55,5 პროცენტი). დაახლოებით იგივე თანაფარდობა დაფიქსირდა საგადასახადო დავების განხილვისას. საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 52 საქმე, ანუ 40,9 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი 69 საქმე, ანუ 54,3 პროცენტი.



გახმაურებული საქმის განხილვა დასრულდა

რამდენიმე თვის წინ თბილისის პროკურატურამ ხმაურიანი საქმე გახსნა - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ნიკო ფიროსმანის მიერ აბრაზე შესრულებული ნახატის "კახური ღვინოს" საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობის ფაქტი.

გამოძიების მასალების მიხედვით, სქემა ასეთი იყო: ნახატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის გავლით რუსეთის ფედერაციაში უნდა გაეტანათ და ერთ-ერთი კოლექციონერისთვის 500 000 დოლარად მიეყიდათ.

თბილისის პროკურატურისა და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპრტამენტის თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომელთაც ფიროსმანის ნახატი აზერბაიჯანში არალეგალურად უნდა გადაეტანათ, 31 მარტს დაკავეს, ეროვნული საგანძური - ნიკო ფიროსმანის ნახატი «კახური ღვინო" კი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.

საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი გაიოზ ჯავახიშვილი, რომლის საკუთრებაც იყო ნახატი, მის გაყიდვას გეგმავდა. იგი დაუკავშირდა შპს "იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრი"-ის წარმომადგენლებს გელა სანიკიძეს და ალექსანდრე ფურცხვანიძეს და მათი მეშვეობით, მამუკა შ.ს. სურათის შეძენა და არალეგალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა შეთავაზეს ფიროსმანის ნახატი აზერბაიჯანში უნდა გადატანათ ადვოკატ დავით ზირაქაშვილსა და ზურაბ დათუკიშვილს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული და ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რის საფუძველზეც, მათთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ალექსანდრე ფურცხვანიძეს, გაიოზ ჯავახიშვილს და დავით ზირაქაშვილს 5-5 წლით პატიმრობა მიუსაჯა, რაც ჩაეთვალათ პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. გარდა ამისა, გაიოზ ჯავახიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ფიროსმანის ნახატი. გელა სანიკიძეს სასამართლომ 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელსა და 6 თვეს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. ზურაბ დათუკიშვილს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ახალქალაქის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

ახალქალაქის რაიონული სასამართლომ ბრალდებული არტაშ ხაჩატურიანი უდანაშაულოდ ცნო.

სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია წარდგენილი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარებოდა ბრალდება და განასჯელი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

საქმის მასალების მიხედვით, ხაჩატურიანს ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის გამო.

თელავის რაიონულმა სასამართლომ კი, 72 წლის ქალის გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის 29 წლის ი. რ-ს უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 20 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მცხოვრები, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ი.რ. თანასოფლელ თ. ძ-ს ოჯახში მივიდა. მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რის შემდეგაც ი.რ-მ ხანშიშესულ ქალბატონს ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე მრავალჯერადი დაზიანებები მიაყენა და გააუპატიურა.

ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ი.რ-მ განიზრახა მოეკლა ხანდაზმული ქალბატონი მისივე თავსაფრით, ასევე, თავზე მოახვია ნაქსოვი ჟაკეტი, რის შედეგედაც, თ.ძ. გაიგუდა და გარდაიცვალა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ი.რ. ჩადენილ ქმედებაში დამნაშავედ ცნო და მას უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლოს ქრონიკა
24 ოქტომბერი, 2011 წელი

საჩივრების განხილვის ვადები და შედეგების გასაჩივრების უფლება

რა ვადებში უნდა განიხილოს პატიმრის საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა; რა ვადაა დაწესებული საჩივრის ადრესატამდე მისვლისთვის, რა ვადაში უნდა მიიღოს პასუხი საჩივარზე პატიმარმა; უნდა უზრუნველყოს თუ არა დაწესებულების ადმინისტრაციამ საჩივრის კონფიდენციალურობა და კანონი აძლევს თუ არა პატიმარს უფლებას, საჩივრის განხილვის შედეგები სასამართლოში გაასაჩივროს - ეს საკითხები მუდმივად ინტერესის საგანია არა მხოლოდ პატიმრებისთვის, ასევე, მათი ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც, ხშირად ირწმუნებიან, რომ საჩივრის შეტანის გამო, პატიმარი დაისჯა. არადა, კანონი ამ საკითხებს მკაცრად განსაზღვრავს.

კანონით, დაუშვებელია პატიმრის დასჯა საჩივრის შეტანის გამო. «პატიმრობის კოდექსის» მიხედვით, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს საჩივრების ყუთი, თანაც ისეთ ადგილას, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ყველა პატიმრისთვის. დაწესებულების ტერიტორიაზე შეიძლება განთავსდეს საჩივრების რამდენიმე ყუთი. ყუთს უნდა გაუკეთდეს აბრა წარწერით «საჩივრების ყუთი» და ის დალუქული უნდა იყოს. კანონით, დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკმა საჩივრების ყუთი უნდა დაკეტოს და დალუქოს დაწესებულების დირექტორის ან მისი მოადგილის თანდასწრებით. დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკმა საჩივრების ყუთი ყოველი დღის ბოლოს უნდა გახსნას დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

ყუთის გახსნისთანავე უნდა მოხდეს კონვერტების ვიზუალური დათვალიერება და კონვერტის ნომრის რეგისტრაცია. საჩივრების რეგისტრაცია უნდა უზრუნველყოს

ადმინისტრაციის სოციალურმა განყოფილებამ. საჩივრები უნდა აღრიცხოს დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკმა. საჩივრების ყუთის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანებიდან უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 3 დღისა, ის უნდა შეკეთდეს ან უნდა განთავსდეს ახალი ყუთი.

ადმინისტრაცია ვალდებულია შესული საჩივარი მიღებიდან 48 საათის ვადაში გადაუგზავნოს ადრესატს. დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს მისთვის განკუთვნილი საჩივარი შეუფერხებლად უნდა მიეწოდოს.

საჩივრის გადაგზავნიდან არა უგვიანეს მეორე დღისა საჩივრების ყუთთან უნდა გამოიკრას გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი.

არაკონფიდენციალური საჩივარი განსახილველად არ ეგზავნება იმ პირს ან მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირს, რომლის ქმედებასაც ეხება საჩივარი.

კანონი საჩივრის განხილვის ვადებსაც აწესებს. დაწესებულების დირექტორმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა საჩივარი უნდა განიხილოს მიღებიდან 5 დღის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვისა, რის შესახებაც განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

დეპარტამენტის თავმჯდომარემ პატიმრის საჩივარი უნდა განიხილოს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა, თუმცა ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ვადის გაგრძელების შემთხვევაში, განმცხადებელს უნდა ეცნობოს ამის თაობაზე.

რაც შეეხება კონფიდენციალურ საჩივარს. პატიმარს უფლება აქვს, შეიტანოს კონფიდენციალური საჩივარი. კონფიდენციალურია საჩივარი, რომელიც მოთავსებულია დალუქულ კონვერტში და რომელზედაც მითითებულია ადრესატი.

ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს იმ საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვას, რომელზედაც არ არის მითითებული ადრესატი.

წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და ისინი დაუყოვნებლივ უნდა იყოს განხილული. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ან სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს.

რაც შეეხება საჩივრის განხილვის შედეგებს. საჩივრის განხილვის შედეგები პატიმარს ხელწერილით უნდა გაეცნოს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა და საჩივარიც და ამ საჩივრის განხილვის შედეგებიც უნდა დაერთოს პატიმრის პირად საქმეს. საჩივარში მითითებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას უნდა გაეცეს დასაბუთებული პასუხი. საჩივარზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პატიმარს უნდა ეცნობოს დასაბუთებული პასუხი.

კანონი პატიმარს უფლებას აძლევს, საჩივრის განხილვის შედეგები ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

პატიმრის მოთხოვნის შემთხვევაში, ადმინისტრაციამ ის უნდა უზრუნველყოს საჩივრის შესატანად საჭირო საშუალებების აუცილებელი რაოდენობით, მათ შორის, ქაღალდით, კონვერტებით, საწერი საშუალებებით და სხვა.

თვეში ერთხელ დეპარტამენტმა უნდა განიხილოს და გაანალიზოს დაწესებულებაში შესული მოთხოვნები, საჩივრები, რის შესახებაც უნდა მომზადდეს სპეციალური ანგარიში.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ), საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანიის ფონდმა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამართეს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე საკანონმდებლო პროცესში მიღწევები და ცვლილებები - გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, პოლონეთის და სამხრეთ კავკასიის მაგალითზე.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას რესპუბლიკების მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა. ასევე, საერთაშორისო ექსპერტებმა გერმანიიდან, ბელგიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, სლოვენიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კონფერენცია გახსნეს იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძემ, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ საქართველოში ჰაიკე გაბრიელიმ.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე, მნიშვნელოვან როლს საკანონმდებლო პროცესის სრულყოფა წარმოადგენს. კარგი კანონის შექმნის წინაპირობა კი მნიშვნელოვანწილად სრულყოფილი და რაციონალურად გაწერილი საკანონმდებლო პროცესია.

კონფერენციის მიზანი გახლდათ საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების საკითხებზე საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილებისა და კონცეფციების გაზიარება. მცირე სამუშაო ჯგუფებში (რეგულირების გავლენის შეფასება, კანონშემოქმედებითი საქმიანობის სახელმძღვანელო, უკეთესი რეგულირების პოლიტიკა და ინსტიტუტები) მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო მოხელეებს საშუალება ჰქპონდათ განეხილათ საკუთარი შეხედულებები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და უცხოელ ექსპერტებთან და ესარგებლათ მათი გამოცდილებით.

პლენარულ სესიებზე მოხსენებები მიეძღვნა საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების ზოგად ასპექტებს, მოისმინეს ინტერვიუ ბალკანეთის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებაზე და განიხილეს სამუშაო ჯგუფების ფარგლებში დასმული საკითხების შედეგები და დასკვნები.

კონფერენციის ფორმატი, მონაწილეებს სთავაზობს იდეებისა და შთაბეჭდილებების გაცვლისათვის და აღმოსავლეთ ევროპაში საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების საკითხებზე საერთაშორისო კონტაქტების გასამყარებლად ძალიან კარგ სივრცესა და შესაძლებლობას.

თელავის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვანი დარბაზიდან გაათავისუფლა

თელავის რაიონულმა სასამართლომ ქურდობის ექვს ეპიზოდში ბრალდებული არასრულწლოვანი ნ.უ. სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ნ.უ-მ ქალაქ ახმეტაში სხვადასხვა ქუჩაზე მცხოვრებ ექვს ადამიანთან სტუმრობისას, მათი სახლებიდან მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად მიისაკუთრა ოქროს ნივთები და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულებს.

თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, მას ჯარიმის გადახდა დააკისრა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

კონკურსის - "ინტელექტუალური საკუთრება 2" პრეზენტაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოში სტუდენტური კონკურსის - "ინტელექტუალური საკუთრება 2" პრეზენტაცია გაიმართა.

2011 წლის შემოდგომის სემესტრში «ელსა საქართველო» მთელი საქართველოს მასშტაბით სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს აღნიშნულ პროექტს კვლავ სთავაზობს. პროექტის გენერალური პარტნიორები არიან თბილისის საქალაქო სასამართლო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი სტუდენტური თვითმმართველობა, საქართველოს ავტორთა საზოგადოება და საქპატენტი (ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი).

მონაწილეთა შერჩევა მოხდება გუნდური პრინციპით (თითოეულ გუნდში 2-2 მონაწილე), რომლებსაც დარეგისტრირება შეეძლებათ თბილისის, ქუთაისის, გორის და ბათუმის სარეგისტრაციო ზონებში სპეციალური, ელექტრონული სააპლიკაციო ფორმის შევსების გზით, რომელიც განთავსებულია ელსა-ს ოფიციალურ საიტზე: www.elsa.ge

დარეგისტრირებულ მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება - წერითი ეტაპი ჩატარდება მხოლოდ თბილისში.

5 ნოემბერს შეირჩევა გუნდები გორსა და ქუთაისში, ხოლო 6 ნოემბერს - ბათუმში. სულ შეირჩევა 8 გუნდი, აქედან 5 გუნდი წარმოადგენს თბილისს, ხოლო თითო-თითო რაიონებს.

შერჩეულ გუნდებს იმიტირებულ პროცესებამდე ჩაუტარდებათ ტრენინგები. ჩატარდება 7 პროცესი. 19 ნოემბერს - 4 შესარჩევი პროცესი, 26-27 ნოემბერს ნახევარფინალები, ხოლო 4 დეკემბერს - ფინალი. თითოეული ეტაპის, ისევე, როგორც საბოლოო გამარჯვებული გუნდი გამოვლენილ იქნება კომპეტენტური ჟიურის მიერ.

პროექტში გამარჯვებული გუნდის წევრები გაივლიან სტაჟირებას საქალაქო სასამართლოში.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia